პრეზიდენტ
დიტერ ფ. უხთდორფის
მიერ
პირველ პრეზიდენტთა
მეორე მრჩეველი

ძმაო, მე ვალდებულება ავიღე

ორი ძმა იდგა პატარა კლდის წვერზე, რომელიც დაჰყურებდა ცისფერი ტბის კრიალა ზედაპირს. ეს ყველასათვის კარგად ნაცნობი ჩასაყვინთი ადგილი იყო. ძმები ხედავდნენ, როგორ ხტებოდნენ კლდიდან ბიჭები და ხშირად საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ თვითონაც ეცადათ ბედი.

მიუხედავად იმისა, რომ სურვილი ორივეს ჰქონდა, პირველად ჩახტომა არც ერთს არ უნდოდა. კლდე არც თუ ისეთი მაღალი იყო, მაგრამ პატარა ბიჭებისათვის მანძილი კლდის წვერიდან ტბის ზედაპირამდე თითქოს იზრდებოდა, როდესაც ისინი წინ იხრებოდნენ გადასახტომად, და ამ დროს მათი სიმამაცეც სადღაც ქრებოდა.

ბოლოსდაბოლოს, ერთ-ერთმა ძმამ კლდის პირას ფეხი დადგა და გაბედულად გადაიწია წინ. ამ დროს მისმა ძმამ წაიჩურჩულა: „იქნებ მომავალი ზაფხულისთვის გადაგვედო?”

პირველ ძმას უკვე ვერაფერი ვერ შეაჩერებდა. „ძმაო, -უპასუხა მან, „მე ხომ ვალდებულება ავიღე!“

იგი წყალში გადახტა და მალევე გამარჯვების წამოძახილით ამოყვინთა. მეორე ძმაც დაუყოვნებლივ მიჰყვა ძმას. შემდეგ ისინი ორივე იცინოდნენ, როდესაც იხსენებდნენ წყალში ჩახტომამდე ნათქვამ სიტყვებს: „ძმაო, მე ხომ ვალდებულება ავიღე.“

ვალდებულება ცოტათი ჰგავს წყალში გადახტომას. შენ ან გაქვს ვალდებულება აღებული და ან არა. შენ ან წინ მიიწევ ან გაუნძრევლად დგახარ. ნახევარი გზა არ არსებობს. ჩვენ ყველანი ვდგებით ისეთი არჩევანის წინაშე, რომელიც მთლიანად გვიცვლის ცხოვრებას. ჩვენ, როგორც ეკლესიის წევრებმა, უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს: „გადავხტები თუ უბრალოდ ნაპირზე დავდგები? გადავდგავ ნაბიჯს წინ თუ უბრალოდ ფეხის თითებს ჩავყობ წყალში ტემპერატურის გასასინჯად?“

ზოგჯერ ჩვენ ვცოდავთ არასწორი ქმედებებით, ზოგჯერ კი უმოქმედობით. როდესაც ჩვენ თითქოს ვალდებულება გვაქვს აღებული სახარების მიმართ, ასეთი მიდგომა ჩვენში იმედგაცრუებას, მწუხარებას და სინანულის გრძნობას იწვევს. ასეთი „ვალდებულება“ არ უნდა გვეკადრებოდეს ჩვენ, როგორც აღთქმულ ერს. ჩვენ ვდებთ აღთქმას უფალთან ნათლობის დროს და მაშინ, როდესაც მის სახლში შევდივართ. მამაკაცები დებენ აღთქმას უფალთან, როდესაც ისინი ღებულობენ მღვდლობას. არაფერი არ არის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე უფალთან

დადებული აღთქმის შესრულება. მოდით გავიხსენოთ რახელისა და ლეას პასუხი იაკობს ძველ აღთქმაში. ეს პასუხი უბრალოა, პირდაპირი და მათ მიერ საკუთარ თავზე ვალდებულების აღების კარგი მაგალითი: „გააკეთე ყოველივე, რაც გითხრა შენ ღმერთმა“ (დაბადება 31:16).

მათ, ვისაც ვითომ ვალდებულება აქვთ აღებული, შეუძლიათ შესაბამისად თითქოს დამოწმების, სიხარულისა და სიმშვიდის დალოცვის მიღება. ცის საქანელნი თითქოს და გაიხსნება მათთვის. განა სისულელე არ არის იფიქრო: „მე ეხლა 50% ავიღებ ვალდებულებას, მაგრამ ქრისტეს მეორე მოსვლისთანავე 100% ვალდებულებას ვიკისრებ?“

ჩვენს მიერ უფლის მიმართ დადებული აღთქმის ვალდებულება, ჩვენი მოქცევის ნაყოფია. ჩვენი მაცხოვრისა და მისი ეკლესიის მიმართ ვალდებულება აყალიბებს ჩვენს ბუნებას და აძლიერებს სულს ისე, რომ როდესაც ჩვენ შევხვდებით ქრისტეს, იგი ჩაგვიკრავს გულში და გვეტყვის: “კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ“ (მათე 25:21).

სურვილი და ქმედება განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათ, ვისაც მხოლოდ სურთ ვალდებულების აღება, ყოველთვის შეუძლიათ თავის გამართლება მის შეუსრულებლობის გამო. მათ, ვისაც ნამდვილად აქვთ ვალდებულება აღებული, დგებიან დაბრკოლების წინაშე და ეუბნებიან საკუთარ თავს: „კი, ეს საქმის გადადებისთვის კარგი მიზეზია, მაგრამ მე ვალდებულება ავიღე, ასე რომ შევასრულებ დაკისრებულ ვალდებულებას.“ ისინი სწავლობენ წმინდა წერილებს და დაჟინებით ეძიებენ მამაზეციერის წინამძღოლობას. ისინი ღებულობენ და ადიდებენ თავის საეკლესიო მოწოდებებს, ესწრებიან შეკრებებს, ეწვევიან ოჯახებს შინა მასწავლებლისა თუ ოჯახის მასწავლებლის გზავნილებით.

გერმანული ანდაზა ამბობს: „დაპირებები სავსე მთვარეს ჰგავს. თუ მათ ერთბაშად არ ასრულებ, ისინი ყოველდღე კლებულობენ.“ ჩვენ, როგორც უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრებმა, ავიღეთ ვალდებულება ვიაროთ მოწაფეობის გზით. ჩვენ ავიღეთ ვალდებულება მივბაძოთ მაცხოვარს. წარმოიდგინეთ, როგორ შეიცვლებოდა სამყარო უკეთესობისაკენ და რა მადლს მიიღებდა იგი, როდესაც უფლის ეკლესიის ყოველი წევრი საკუთარ ჭეშმარიტ პოტენციალს გამოავლენდა, გულის სიღრმეში იქნებოდა მოქცეული და შეასრულებდა ვალდებულებას აშენოს ღვთის სასუფეველი დედემიწაზე.

ყოველი ჩვენთაგანი გარკვეულწილად დგას კლდის პირას და უყურებს წყალს. ჩვენ უნდა გავაკეთოთ არჩევანი. მე ვლოცულობ მასზედ, რომ ჩვენ ვიქონიოთ რწმენა, მისწრაფებით და სითამამით დავუდგეთ წინ ცრემლებსა და ეჭვებს და ვუთხრათ საკუთარ თავს: “მე ვალდებულება ავიღე!“

ამ მოწოდების სწავლება

„მოწაფეებისათვის სახარების პრინციპების უკეთესად წვდომის ერთ-ერთი ხერხია მათ მიერ სურათების დახატვა. ხატვა ეხმარება მათ სახარებაში მოცემულ მოთხრობებისა და პრინციპების შეგრძნებებისა და წვდომის გამოვლინებასა და გამომჟღავნებაში“ (*Teaching, No Greater Call* [1999], გვ.166). წაიკითხეთ სტატია, განიხილეთ სახარების მიმართ ვალდებულების აღება, შემდეგ სთხოვეთ მსურველებს დახატონ სურათი, რომელიც სახარების მიმართ ვალდებულების აღებას გამოხატავს. ბავშვებს შეიძლება დაჭირდეთ იდეის მიწოდება იმაზე, თუ რა დახატონ.

ახალგაზრდები

ყველაფერი, რისი მიცემაც შემიძლია

ალისა ჰანსენის მიერ

მე ძალიან ვნერვიულობდი იმაზე, თუ როგორ უნდა დამეფარა ზაფხულის ღონისძიებებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი: გაკვეთილები, წრეები, ბანაკი, და ა.შ. მეგონა ავტირდებოდი, შემდეგ გამახსენდა ყველაფერი, რაც კი მისწავლია უფლის მიმართ რწმენის შესახებ. მე გადავწყვიტე მივენდო უფალს, და თუ მისი ნება იქნებოდა, გზაც მოიძებნებოდა.

არც თუ ისე ბევრი დრო გავიდა რაც დედამ იპოვა ჩემი წინა სამსახურიდან ჩეკი, რომელიც განაღდებული არ მქონდა, მომდევნო დღეს კი მე ფოსტით მცირე ფულადი ანაზღაურებაც მივიღე შეჯიბრებებში მეორე ადგილის აღებისათვის. ჩემთვის ეს უდიდესი დამოწმება იყო იმისა, რომ ღმერთი არსებობს, რომ

მე მას ვუყვარვარ და იგი ზრუნავს ჩემზე და ჩემს კეთილდღეობაზე.

მე იმდენად აღვივსე მამაზეციერისა და მაცხოვრის მიმართ მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობით, რომ ჩემი სხეული ველარ იტევდა ამ განცდეგს. მე მინდოდა ჩემი მადლიერების გამოხატვა იმით, რომ მედიდებინა ღმერთი და სხვებისთვისაც გამეზიარებინა ეს გრძნობა. ზოგიერთი ადამიანი ამას ლექსის ან სიმღერის საშუალებით გამოხატავს, ზოგი სურათის დახატვით, თუმცა მე არ შემეძლო ამის გაკეთება. მივხვდი, რომ ერთადერთი რამ, რაც ჩემს შესაძლებლობებში იყო ღვთის სადიდებლად, გახლდათ ის, რომ ჩემი ცხოვრება „მორწმუნეთათვის მაგალითი“ ყოფილიყო (1 ტიმოთე 4:12), რათა მიმეძღვნა იგი ქრისტესთვის, რამეთუ ეს არის ის ერთადერთი რამ, რასაც იგი ჩვენგან ითხოვს. ეს არის ის, რისი მიცემაც შემიძლია მისთვის.

© 2011 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია აშშ-ში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი *First Presidency Message, July 2011.* Georgian. 09767 131

Η ΑΓΑΠΗ ΟΥΔΕΠΟΤΕ ΕΚΠΙΠΤΕΙ
AE
1842

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

მოდით ტაძარში და მიიღეთ კუთვნილი კურთხევა

შეისწავლეთ ეს მასალა და საჭიროებისამებრ განიხილეთ ის დებთან, ვისაც სტუმრობთ. დაუსვით შეკითხვები, რათა შესძლოთ თქვენი დების განმტკიცება და ასევე იმისათვის, რომ მოწყალების საზოგადოება გახდეს თქვენი ცხოვრების აქტიური ნაწილი.

დებო, ჩვენ უაღრესად დალოცვილნი ვართ. ამ ეკლესიას მაცხოვარი უდგას სათავეში. ჩვენი ხელმძღვანელები ცოცხალი წინასწარმეტყველები არიან. ჩვენ წმინდა წერილები გვაქვს. ჩვენ მსოფლიოს უამრავ კუთხეში წმინდა ტაძრები გვაქვს, სადაც შეგვიძლია მივიღოთ ყველა ის წეს-ჩვეულება, რომელიც დაგვეხმარება მამაზეციერთან დაბრუნებაში.

ჩვენ თავდაპირველად საკუთარი თავისთვის მივდივართ ტაძარში. "ტაძრის პირველი დანიშნულებაა", როგორც თორმეტ მოციქულთა ქვორუმის უხუცესმა რობერტ დ. ჰეილზმა აგვიხსნა, „ყველა იმ აუცილებელი წეს-ჩვეულების შესრულება, რომელიც აუცილებელია ჩვენი ამაღლებისათვის ცელესტიალურ სასუფეველში." ტაძრის წეს-ჩვეულებებს მივყავართ მაცხოვრისაკენ და გვაძლევენ კურთხევას, რომლის მიღებაც შესაძლებელია ჩვენთვის იესო ქრისტეს გამოსყიდვის გამო. ტაძრები- კაცობრიობისათვის ის ცნობილი და დიადი უნივერსიტეტებია,რომლებიც გვაძლევენ ცოდნასა და სიბრძნეს სამყაროს შექმნის საკითხების შესახებ. სატაძრო მოსილების დარიგებანი გვასწავლიან იმას, თუ როგორ უნდა ვცხოვრობდეთ მიწიერ ცხოვრებაში. . . ეს წეს-ჩვეულება შედგება მთელი რიგი მითითებებისაგან მასზედ, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ და რა აღთქმები დავდოთ, რათა მივბაძოთ მაცხოვარს და ვიყოთ მართალნი."[1]

მაგრამ ჩვენი სატაძრო მსახურება ამით არ მთავრდება. ბოიდ კ. პაკერი, თორმეტ მოციქულთა ქვორუმის პრეზიდენტი, გვასწავლიდა: „როდესაც თქვენ ასრულებთ წეს-ჩვეულებას მისთვის, ვინც იმყოფება მიღმიერ სამყაროში, თქვენ გაგახსენდებათ ის აღთქმები, რომლებიც თქვენ დადეთ უფლის წინაშე. თქვენს გონებაში უფრო განმტკიცდება ის დიადი სულიერი კურთხევა, რომელიც უკავშირდება უფლის სახლს. . . თქვენს მიერ შესასრულებელ აღთქმებსა და წეს-ჩვეულებებში დაინახავთ იმ ლოცვა-კურთხევას, რომლის ღირსნიც შეგიძლიათ გახდეთ წმინდა ტაძარში ყოფნისას."[2]

მოდით ტაძარში ერთხელ და კიდევ მრავალჯერ. სატაძრო აღთქმის დადებით და მისი შესრულებით ჩვენ ვივლით იმ გზაზე, რომელიც მიგვიყვანს უდიდეს დალოცვამდე ყველა დალოცვათა შორის— მარადიულ ცხოვრებამდე.

ბარბარა ტომპსონი, მოწყალების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტის მეორე მრჩეველი.

წმინდა წერილებიდან

ესაია 2:3 ; 1 კორინთელთა 11:11; გამოცხადება 7:13–15; მოძღვრება და აღთქმები 109

ჩვენი ისტორიიდან

წინასწარმეტყველი იოსებ სმითი ხშირად ესაუბრებოდა მოწყალების საზოგადოების დებს, მათი შეხვედრების დროს. ნავუს ტაძრის მშენებლობის დროს წინასწარმეტყველი მოძღვრავდა დებს, რათა განემზადა ისინი სატაძრო წეს–ჩვეულებების მეშვეობით მეტი ცოდნის შეძენისათვის. 1842წ. მან უთხრა მერსი ფილდინგ თომსონს, რომ სატაძრო მოსილება „გამოგიყვანთ სიბნელიდან გასაოცარ სინათლეში."[3]

დაახლოებით 6000 უკანასკნელი დღეების წმინდანმა ნავუდან გამოსვლამდე მიიღო სატაძრო წეს-ჩვეულებები. პრეზიდენტმა ბრიგამ იანგმა (1801–77) ბრძანა: „იმდენად დიდი იყო წმინდანთა სურვილი მიეღოთ სატაძრო წეს-ჩვეულებანი და ჩვენის

მხრივ, იმდენად დიდი იყო ჩვენი სურვილი ვემსახუროთ მათ ამ საქმეში, რომ მე ჩემი თავი მთლიანად მივუძღვენი უფლის მსახურებას ტაძარში. ძილისთვის საშუალოდ სულ რაღაც ოთხი საათი მქონდა, სახლში წასასვლელად კი მხოლოდ კვირაში ერთხელ თუ ვიცლიდა.“[4] ტაძრის ძალა და მისი აღთქმები აძლიერებდნენ წმინდანებს იმ დროს, როცა ისინი ტოვებდნენ საკუთარ ქალაქსა და ტაძარს უცხო ადგილას წასასვლელად.

მენიშვნები

1. რობერტ დ. ჰეილზი, “Blessings of the Temple,” *Liahona,* ოქტომბერი 2009, 14.
2. ბოიდ ქ. პაკერი, *The Holy Temple* (1980), 170, 171.
3. *Teachings of Presidents of the Church: Joseph Smith* (2007), 414.
4. *Teachings of Presidents of the Church: Brigham Young* (1997), 299.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. რა გამოცდილებას გავუზიარებ მათ, ვისაც ვეწვევი, მათი ტაძარში წასვლის გადაწყვეტილების განსამტკიცებლად?

2. როგორ შემიძლია მე პირადად მოვითხოვო ტაძრის კურთხევები?

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

© 2011 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია აშშ-ში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი *Visiting Teaching Message, July 2011.* Georgian. 09767 131